№ 72 15 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1877 15 თიბათვე, ოთხშაბათი № 72

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

რომელიც **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘᲡ სახლებში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲐᲛ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ—5 ᲛᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲬᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ, ᲒᲐᲛᲝᲬᲒᲐᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲕᲘᲜᲪ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲚᲒᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲐᲓᲒᲔᲜᲡ, 1 ᲘᲣᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲗᲘᲗᲝᲕᲜᲐᲡ ᲕᲣᲛᲝᲛᲠᲔᲑᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲘᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ოფიციალური)

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, 11 ივნისს. ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲐᲙᲚᲝᲑᲭᲘᲝᲡ ᲝᲠᲘ ᲙᲐᲚᲝᲜᲐ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ ᲪᲘᲮᲘᲡ-ᲫᲘᲠᲘᲡ სიმაგრეს; ერთი ნაწილი ამ სიმაგრისა ჩვენმა ჯარმა აიღო საღამოს.

ჩვენის მხრით დაჭრილია 11 აფიცერი და 400 მილიციონერი და სალდათი მოკლულია და დაჭრილი.

ᲛᲐᲪᲮᲐ, 14 ივნისს. ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 9-ს ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ჯარს დაეცა დიდძალი ჯარი მტრისა სოფელ ᲓᲐᲘᲐᲠᲗᲐᲜ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი რიცხვით იყო: 20 ბატალიონი ქვეითა ჯარი 12 ზარბაზნით და 4,500 ცხენოსანი. ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲡ სივრცეზე იყო და გაგრძელდა ათ საათს. მტერი ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მხრიდამ გავდევნეთ. ჩვენმა ჯარმა შესანიშნავი მხნეობა გამოიჩინა. ჩვენის მხრით მოკლულია: სამი აფიცერი: კაპ. ᲕᲐᲡᲔᲜᲙᲝᲕᲘ, პადპარ. ᲞᲝᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘ და ხორუნჯი თ. Დ. ᲑᲔᲑᲣᲗᲣᲕᲘ და 51 სალდათი. დაჭრილი არიან: 12 აფიცერი და 363 სალდათი. 10-ს იყო კიდევ მცირეოდენი შეტაკება. მტერს ნება მიეცა, რომ თავის დახოცილები წაეყვანა.

ᲛᲐᲪᲮᲐ, 12 ივნისს. ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ატრიადმა 4 ივნისს ზეიდეკანსა და ᲓᲐᲚᲘ-ᲑᲐᲑᲐᲡ შუა, მთებში, დაამარცხა ᲤᲣᲠᲘᲙ-ᲛᲐᲰᲛᲔᲓ-ᲤᲐᲨᲐᲡ ჯარი. მტერი გაიქცა. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲰᲛᲐᲓ-ᲤᲐᲨᲐ მოკლულია. ᲑᲔᲕᲠᲘ ტყვეები წამოვიყვანეთ.

ჩვენის მხრით მოკლულია: ᲮᲝᲠᲣᲜᲯᲘ მუდრი და 26 სალდათი. დაჭრილი არიან: მაიორები სვიონტნიცკი და ᲜᲣᲓᲫᲔᲕᲡᲙᲘ და 119 სალდათი.

ᲙᲚᲣᲔᲨᲢᲘ, 12 ივნისს. ᲦᲐᲛᲘᲗ 10 ივნისს, ᲧᲣᲗᲘ ᲠᲝᲢᲐ ᲠᲘᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡᲐ და ᲮᲣᲗᲘᲪ ᲠᲘᲐᲟᲡᲙᲘᲡᲐ ჩასვეს ნავებში ᲑᲐᲚᲐᲪᲘᲡ მახლობლად და ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔ გადასასვლელად გაგზავნეს. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲘᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲢᲔᲑᲘ გავიდნენ მეორე ნაპირზე, თუმცა მტერმა საშინელი სროლა შეჰქნა; ჩვენი ჯარი ავიდა გორებზე და უკუ-აქცია იქიდამ მტერი, ახლად მოსულ ᲠᲘᲐᲟᲡᲙᲘᲡ ᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ დახმარებით. ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲛᲐ ᲔᲚᲡᲜᲔᲠᲛᲐ და ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲡᲩᲘᲙᲛᲐ ᲡᲣᲨᲙᲝᲕᲛᲐ პირველად დაადგეს ფეხი მტრის მიწაზე. ᲓᲘᲚᲘᲡ 7 საათზე ახალი ჯარებით გამაგრებული მტერი ხელ-ახლად დაეცა ჩვენებს; შუადღემდინ გაცხარებული სროლა ჰქონდათ; ბოლოს მტრის ჯარი ჩვენებმა უკუ-აქციეს და დაიჭირეს ბაჯაკი. მტერის მხრით იყო 3,000 ქვეითა ჯარი და 300 ცხენოსანი.

ჩვენის მხრით მოკლულია: 7 აფიცერი და 41 სალდათი; დაჭრილი არიან: 2 აფიცერი და 88 სალდათი.

11 ივნისს ᲑᲐᲠᲐᲓᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘ გადავიდა ᲛᲐᲩᲘᲜᲨᲘ და თოფის გაუგდებელად დაიჭირა ეს ქალაქი. ᲑᲠᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐ და ᲛᲐᲩᲘᲜᲘᲡ შუა ურმის გზას აკეთებენ ჩვენი ჯარების გადასაყვანათ.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ თავის ხელით დაჰკიდა წმ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ მეოთხე ხარისხის ჯვარი ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲩᲣᲙᲝᲕᲡ, პოდპ. ᲔᲚᲡᲜᲔᲠᲡ და პრაპ. ᲡᲣᲨᲙᲝᲕᲡ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 (23) ივნისს. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ სამი კორპუსი შეერთდნენ და პირ-და-პირ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ სატახტო ქალაქის ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔᲡᲐᲙᲔᲜ მიდიან.

ᲕᲔᲜᲐ, 11 ივნისს. ᲢᲧᲣᲚᲘᲐ, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ ᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ამზადებს თავის ჯარსაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 ივნისს. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ და ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ უმრავლესობის მოთავემ ᲜᲝᲠᲓᲙᲝᲢᲛᲐ წარმოსთქვა სიტყვა, რომლის ᲰᲐᲖᲠᲘ ᲘᲡ იყო, რომ მმართველობის უპირველესი მეცადინეობა არისო, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ინტერესები დაიცვასო; თუ საჭიროება მოითხოვს, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ მხნედ და მამაცურად გააგებინებს ეისიც რიგია თავის სიტყვას. მაგრამ, როგორც უნდა წავიდეს ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ბოლოს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ მიიღებს დაახლოებულ მონაწილეობას ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ საქმეების დათავებაში.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Globe“-ში იწერებიან ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ, რომ ᲨᲐᲠᲡᲘᲡ კამენდანტად მუსტაფა-ᲗᲔᲕᲤᲘᲙ-ᲤᲐᲨᲐ არის დანიშნულიო.

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთში იწერებიან, რომ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ჯარის უფროსად დაუნიშნავთ ᲓᲔᲠᲕᲘᲨ-ᲤᲐᲨᲐ, რომელიც ამ მოკლე ხანში სტამბოლიდამ იქითკენ უნდა წავიდესო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖ. „Daily Telegraph“-ში

დაბეჭდილია ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგ ამბებს იწერებიან ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ არმიის მდგომარეობაზე:

„ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲝᲚᲢᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲞᲔᲜᲐᲙᲡ წავიდნენ. ᲝᲚᲢᲘᲡᲨᲘ ამ ჟამად დიდ ძალი ჯარია ᲠᲣᲨᲘᲓ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐ და ᲭᲣᲡᲔᲘᲜ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲛᲐ ᲣᲐᲠᲐ-ᲥᲘᲚᲘᲡᲘ მიატოვეს და ამ ქალაქის სასამართლოები ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ გადაიცანეს.

„ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲗ შეგატყობინეთ ამას წინათ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲘᲡ ცხენოსანი ჯარის (მუსსა-ფაშა ᲣᲣᲜᲓᲣᲮᲝᲕᲘᲡ) ამოწყვეტაზე. ᲐᲮᲚᲐ უფრო დაწერილებული ცნობები შევიტყე ამ საგანზე. ᲐᲛ ცხენოსანი ჯარიდამ აქ, ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ, 400 კაცი დაბრუნდა; ამას გარდა ბრძოლის ველზე, როგორც რუსები ამტკიცებენ, 1,100 დახოცილი უნახავთ, მეტი არა; ეს სულ გამოვიდა 1,500 კაცი; დანარჩენი 2,500 კაცი იმ 4,000-ში, რომელიც მუსსა-ფაშას ყვანდა, რალა იქნენ? ᲨᲔᲫᲚᲔᲚᲘᲐ, რომ რუსებს ტყვეთ არავინ არ წაუყვანიათ; იმათ გამოუცხადეს ამ ჯარს, რომ ცოცხალს არც ერთს არ წაგიყვანთო; ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐᲪ ამის შემდეგ დაიწყეს თავგანწირული ბრძოლა, რადგან დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი მაინც არ გადარჩებოდნენ, ისევ ბრძოლაში სიკვდილი ამჯობინეს. მაშ საფიქრებელია, რომ დანარჩენი 2,500 კაცი ამ ცხენოსანი ჯარიდამ გაქცეული არიან და ამათ თავი დაუხწევიათ.“

—

ᲠᲣᲡᲘᲡ მოწინავე ჯარი მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ამ ჟამად, როგორც ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, ᲝᲚᲢᲘᲡᲡᲐ და ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ შუა არის დაბანაკებული.

ᲐᲛᲐᲕᲔ საგნის თაობაზე, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ გაზეთს „Standard“-ში იწერებიან, რომ ᲝᲚᲢᲘᲡᲡᲐ და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ შუა ᲠᲣᲡᲘᲡ ჯარი სრულიად არ არისო; მუხთარ-ფაშის ჯარს დაჭერილი აქვს ადგილები ერთის მხრით ᲖᲔᲕᲘᲜᲘᲓᲐᲛ (სადაც უმთავრესი ბანაკია) ᲝᲚᲢᲘᲡᲐᲛᲓᲘᲜ და მეორეს მხრით ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲐᲛᲓᲘᲜ.

—

„ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐ“ გვაცნობებს, რომ ᲝᲚᲢᲘᲡᲡ დაბანაკებული ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ აპირებს წასვლასო და განზრახვა აქვთო, რომ ეს ციხე-ქალაქი ისევ წაართვან რუსებსაო, რადგან ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲨᲘ ცოტა ჯარი ჰყავთ დატოვებულიო; მომეტებული ნაწილი ᲣᲐᲠᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ წაიყვანესო.

—

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ გაზეთს „Neue Freie Presse“-ში დაბეჭდილია ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვარწმუნებს, რომ მუხთარ-ფაშა აპირებს ᲣᲐᲠᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ წასვლას თავის ჯარითაო, რომ უკანიდამ მიადგეს რუსებს და ამ ციხეში დამწყვდეულ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ გარნიზონს უშველოსო.

—

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილი სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ხონთქარმა დახედა ამ თვის 7-ს დიდ-ძალი ირრეგულიარული ჯარი, ჩაებარა ეს ჯარი ᲓᲔᲠᲕᲘᲨ-ᲤᲐᲨᲐᲡ და ამ დღეებში ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ გამოგზავნაო.

ᲐᲛᲐᲕᲔ დეპეშის სიტყვით, ᲐᲚᲐᲨᲥᲔᲠᲗᲐᲜ რომ ღენერალ ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ბრძოლა ჰქონია ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ამ ბრძოლაში ორივე მხარეს ᲑᲔᲕᲠᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ მისცემია, მაგრამ რუსები უფრო მომეტებულია დახოცილი და დაჭრელიო.

—

ᲔᲠᲗᲘᲡ ფრანცუზულ გაზეთში მოყვანილია ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ შემდეგ ამბავი:

„ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ მრავლდებიან ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ; საცა არ მიდიან აქა-იქ ადგილებში, მცხოვრებლები ყველგან კარგათ იღებენ და ამბობენ, რომ იმათ ომში სიკვდილი ურჩევნიათ, ვიდრემც რუსების ქვეშ დარჩენა.“

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილია ᲑᲠᲐᲘᲚᲝᲕᲘᲓᲐᲛ 6 ივნისს მიღებული დეპეშა, რომ ᲛᲐᲩᲘᲜᲨᲘ, ᲓᲣᲜᲐᲘᲡ მარჯვენა მხრით, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ 10,000 ახალი ჯარი მოუვიდათო.

—

ᲔᲒᲕᲘᲠᲢᲔᲡ ჯარის უფროსი პრინცი ჰასან-ბეი 7-ს ივნისს გამოსულა სტამბოლიდამ და პირ-და-პირ ᲕᲐᲠᲜᲐᲨᲘ წამოსულა თავის ჯარით ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ბრძოლის ველზე, ოსმალოების დასახმარებელად.

—

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ „Daily Telegraph“-ში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲛ ძლიერი ესკადრა—ჰასან-ფაშის თაოსნობით—ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ შავ ზღვის ნაპირებზე გამოგზავნაო; რა განზრახვა აქვს ამ ესკადრას—კაცმა არ იცისო.

—

ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲛ იწერებიან ერთ ნემეცურს გაზეთში, რომ ᲑᲝᲑᲐᲠᲗ-ᲤᲐᲨᲐ ძრიელის ესკადრით უყარაულებს რუსის ფლოტს ᲑᲘᲖᲠᲐᲚᲢᲐᲠᲖᲔ.

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ ᲡᲣᲚᲢᲐᲜᲘ ამ მოკლე დროში ჯარში წასვლას ემზადებაო.

—

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ გაზეთის „ᲮᲛᲘᲡ“ სიტყვით, ᲞᲣᲡᲩᲘᲜᲘᲡ დას, იმ ᲞᲣᲡᲩᲘᲜᲘᲡ, რომელიც ნაღმის მატარებელ ხომალდზე დატყვევებული იყო ᲡᲣᲚᲘᲜᲗᲐᲜ, ᲓᲣᲜᲐᲘᲨᲘ, მოუვიდა ᲑᲝᲑᲐᲠᲗ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ძმის მინდობილობით, წერილიო, რომ ის ტყვედ წაიყვანეს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ, სტამბოლში გაგზავნეს, სადაც უნებლათ და კარგათ იმყოფებაო.

—

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ გაზეთებში სწერენ, რომ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ჯარში ᲓᲣᲜᲐᲘᲡᲖᲔ საშინელი ავათმყოფობაა, რადგან [illegible] ᲣᲐᲠᲐᲗ ᲐᲗᲐᲗ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲜᲝᲢᲘᲝ ᲰᲐᲔᲠᲘ.

—

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთში ამბობენ, რომ რუსები, უეჭველია, მოელიან ᲡᲔᲠᲑᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ და ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ დახმარებასაო.

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ მოვიდა ამბავი, რომ რამდენიმე ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ სოფლები უბრძოლველად დაემორჩილნენ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘᲡ გაზეთში დაბეჭდილია ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲘᲚᲚᲔᲡᲘ ბრძანება, რომ, თუმცა მე ამჟამად ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ მოქმედ არმიაში ვიმყოფებიო, მაგრამ უმახლობელესს ხელმძღვანელობას ამ არმიისას ისევ ღენერალ-ადიუტანტს ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕს ექნება მინდობილიო.

*** ᲓᲘᲓᲝ-ᲚᲔᲙᲔᲑᲘᲡ არეულობა, როგორც ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, სრულებით დაწყნარებულა. ᲐᲮᲚᲐᲓ გაგზავნილი ჯარის უფროსი და აგრეთვე იქაური უეზდის, უფროსი ცდილობენ დააბრუნებინონ ცხვრის ფარები, რომელიც ᲣᲐᲓᲝᲠᲖᲔ თავ-დასხმის დროს იმათ გაურეკიათ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ გარეკილი ცხვრის ფარის რიცხვი ასი ათასამდინ არისო.

*** ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲑᲐᲥᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲨᲘ“ იწერებიან ᲓᲐᲨᲚᲐᲒᲐᲠᲘᲓᲐᲛ (ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲜᲘᲓᲐᲛ), რომ ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲐᲜᲘ ამ ჟამად სრულიად დამშვიდებული და დაწყნარებული არისო. ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ განზრახვა აქვსო, რომ ვინც ამას წინათ აჯანყებულები იყვნენ, აქედამ გადაასახლონო.

*** „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოამბე“ გვაცნობებს, რომ ᲡᲐᲪᲮᲔᲜᲝᲡᲘᲡ (ᲥᲐᲮᲔᲗᲨᲘ) დაბალი სამხედრო შკოლა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ გადმოიყვანესო; ამ შკოლაში, როგორც ამბობენ, ამჟამად 150 შაგირდია.

*** „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ“ სწერენ, რომ ამ დღეებში დაბრუნდა კომისია, რომელსაც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑისაგან ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲨᲘ დატოვებული სურსათის აღწერა და ცნობაში მოყვანა ჰქონდა მინდობილიო. ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐᲝ, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑს დაუტოვებიათ იქ 11,200 ჩეტვერტი პურის ფქვილი, 6 ათასი ქერი, 2 ათასი ფუთი მარილი და 1074 პატარა ბოჩკა თოფის-წამალი.

*** ᲩᲕᲔᲜ მივილეთ ᲖᲔᲛᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲛ შემდეგი შემთხვევის აღწერა:

„ᲔᲠᲗᲘ ახირებული კაცის-მკვლელობა

მოხდა ამ დღეებში ამ ჩვენს უეზდში. ერთ კაცს დაეცნენ ღამით ავაზაკები, გაცარცვა უნდოდათ ამ კაცისა და ერთი ახალგაზდა ქალის მოტაცებაც.

„ამ კაცს კარები მაგრათ ჰქონებია დაკეტილი. მაგრამ ერთ დარდიმანდ ავაზაკს საფუძველი შეუუხრია სახლისათვის, შესულა შიგ და სხვა ავაზაკებისათვის კარი გაუღია. ბევრი ნივთიც წაუღიათ და ეს ახალგაზდა ქალიც მოუტაცნიათ.

„სახლის პატრონის ყვირილზე მეზობლებს გაუგიათ და მოშველებიან; მაგრამ ქურდები დაიარაღებულნი ყოფილან და კარგათ გაშორდნენ თურმე სახლს. ეს ერთი დარდიმანდი ავაზაკი თურმე გზაში დადგა და მიმშველებელ კაცებს არ უშვებდა ავაზაკებისკენ. შეიქმნა სროლა თოფისა და დამბაჩებისა. ამ დროს ერთმა ავაზაკმა გაისროლა თოფი, მას ასცილდა, ვისთვისაც უნდოდა, და ამ დარდიმანდ ავაზაკს, საფუძვლის შემთხრელს, მოხვდა კიპკიპაში და იღლიაში გამოვარდა. ავაზაკი იქვე წაქცეულა და სული ამოსვლია.

„ეს მოკლული, როგორც ეხლა გამოჩნდა, გლეხი ქვარაკვახიძე ყოფილა. საზოგადოებისაგან ერთხმათ გაცემული ყოფილიყო და მთავრობისთვის მიუცია ხელში, მაგრამ გამოქცევიათ.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ქარდანახი, 11 თებერვალს. თქვენს გაზეთში, უფ. რედაქტორო, სხვათა შორის, მოხსენებულია სეტყვისაგან ქალაქის და იმის გარეშემოს გაფუჭება. აბა ახლა ამ ჩვენი სიღნაღის მაზრისკენაც გადმოიხედეთ და ნახეთ ზოგ-ზოგი სოფლები რანაირათ არის ატიალებული.

ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორ მოულოდნელათ მოწმენდილ ცაზედ მოვიდა სეტყვა! ამ თვის 4-ს საღამოს ხუთ საათზედ წამოვიდა დასავლეთიდან ერთი გიჟური ქარი, რომელსაც ცოტახნის უკან თან მოჰყვა ისეთი სეტყვა, რომლის მგზავსიც არავის უნახავს. სეტყვის სიმსხო იქნებოდა კაკლის-ტოლა და დედამიწაზედ რო დაეცემოდა ხოლმე, თითქმის ორ საჟენზედ მაღლა ხტებოდა რეზინის ბურთივით.

ეს კიდევ მადლობა ღმერთს, რაც უყო ამ სეტყვამ ხო უყო და რაც არა და იმ ქარმა სულ ბოლო მოუღო.

ამ დროს სოფელში რო გეცქირნათ ხალხისთვის, ასე იფიქრებდით, მტერი დასცემიათო და იკლებენო. მაგრამ ეს მტრის დაცემაზედ უარესი იყო. მტერი რო დაეცეს კაცს, იქნება ცოტაოდენი საზრდო მაინც დასტოეს, მაგრამ ეს კი სადაც მოხვდა, არამ თუ საწლეულო დაუგდო რამ საზრდოთ, არამედ ნეტავი საწყლებს სამემრისოთ გამოადგეთ მამული.

ამ უბედურ მოვლინების მსხვერპლად აქეთკენ შეიქნენ, როგორც შევიტყე, შემდეგი სოფლები: ბურჯაანი, ქარდანეხი და საგარეჯოს გარეშემო სოფლები.

მეორე დღეს წაველი ვენახებში და მინდვრებში სანახავათ და ღმერთმა ყველა მოჭინახულე დაიხსნას ამ სანახაობიდგან, რაც მე სანახავი ვნახე! ხის ფოთოლი გაფენილი, ვაზი დაცარიელებული, ასე გეგონებოდათ საქონელს გაუკორტნიაო და შემოდგომასავით ცარიელი გარკილი ვაზები-ღა სდგანან. რომელ ვაზსაც ან ხეს ფოთოლი და ნაყოფი შერჩენია, დღევანდელ მზეს ისე მოუთუთქამს, ასე გეგონებათ ადუღებულ წყალში ამოუვლიათო, ისეა ფერ-მიხდილი, დამჭკნარი. ამასთან ვენახის ძირის მოსავალს ვერ შეიტყობთ თუ აქ დათესილი ყოფილა რამეო; მხოლოდ კარგა დაკვირვების შემდეგ აქა-იქ შეატყობთ, რო რაღაცა ბალახის ძირები ჩანს და სხვა არაფერი.

საწყალი ხალხი დადის ამ ვენახებში და როგორც კარგი ჭირის-უფლები, ისე სტირიან და თან დაქექილ და დამტვრეულ ვაზებს შინჯვენ. მართლადაც ისეა ხის ტოტები ნამტვრევი და ნაბეჟი, რო გეგონებათ ჯოხები უცემიათო.

ეს სამწუხარო სურათი რო ვნახე, მერე გავსწიე მინდორში; მაგრამ არც აქა ვნახე ნაკლები სამწუხარო სცენა. შორიდან-კი ყანები ჩანდა და ახლო რო მიველი, ცარიელი ჩალის მეტი აღარა დამიხვდა-რა. აქა-იქა-ღა მოჩანდა თავთავი და ისიც ნახევარზედ ცარიელი. შემდეგ ძირში ჩავხედე და ვნახე თავთავები მიწაში ჩაფლული და პური წითლათ გაშლილი. ამაზედ ს. ქარდანეხის სასამართლომ განჩინება შეადგინა, ყველა საქონლის მეპატრონეს აღეკრძალოს ნამკალში საქონლის ტარება და პატრონი ვალდებულად ჰხდის, რო ეს ნამკალი მოხნას და სამერმისოთ ნაგერლათ დაადგოს.

ბლეხი-კაცი, რომელიც წლითი-წლობამდის ამ მამულს შეჰყურებდა, ეხლა გულ-ხელ დაკრეფილი დადის და იმას ცდილობს რო როგორმე წლის სარჩო იშოვოს და ცოლშვილი გამოკვებოს და თუ სხვა და სხვა ვალებს ერთი სამათ და ერთი ხუთათ მოემატებიან, ეს ამას არა ფიქრობს და ჯერ არცა სცალიან, რადგან ჯერ ლუკმა-პურზედ აქვს საფიქრებელი.

სანუგეშოთ ჩვენ ხალხს ეს-ღა დარჩენია, რო იმის გარეშემო სოფლებში კარგი მოსავალია და იქიდგან იოლათ წავა წლეულობით. ეს იმედი ყველას კი არ ანუგეშებს, მხოლოდ იმას ვისაც შეუძლიან რომელიმე ღონის-ძიებით მოიპოვოს წლის სარჩო; და ვისაც არა აქვს ეს ღონის-ძიება, იმან რაღა ქნას?

ნ. მრევლიშვილი

წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამატებელად იმ სტატიისა, რომელიც იყო დაბეჭდილი, შესახებ რუსის სასოფლო ბანკის მმართველების ამორჩევაზედ და სხვ., — 10-ს ივნისს, „დროების“ მე-68 ნომერში, ჩვენ მივიღეთ იმავე უფ. რუსელისაგან კიდევ შემდეგი შენიშნვა: **რედ.**

უფალო რედაქტორო!

უეჭველია, ბევრმა არ იცის, თუ რა მიზეზი იყო სხვათა შორის ოთხის აზნაურის ამორჩევისა ცხრა კაცში რუსის სასოფლო ბანკის მმართველად.

„შარმან 1876 წელსა, მაისში თფილისში იყო საზოგადო კრება თავადაზნაურთა ბანკის საქმეებზედ. სხვათა შორის ამ კრებამ გადაწყვიტა, რომ ბანკის მოგებიდგან ექვსი ათასი მანეთი იყოს გადადებული სასოფლო ბანკების დასაფუძვნებელად თფილისის გუბერნიაში. თითო უეზდს დაუნიშნეს ათასი მანეთი და როდესაც რომელიმე სოფელი ამ უეზდისა მოინდომებს ბანკის გახსნას, შეუძლიან იმ სოფელს ისესხოს ათასი მანათი თავად-აზნაურობის ბანკიდგან ექვს პროცენტათ, ხოლო იმ პირობით რომ იმ სოფელში და ახლო სოფლებში კეთილშობილებსაც ქონდეთ გლეხებთან მონაწილეობა სასოფლო ბანკის დაარსებაში. ამაზედ პროტოკოლიც შეადგინეს.

მეორე მიზეზი ამ აზნაურების გამორჩევაზედ და მონაწილეობაზედ მე დავწერე 68 ნომერში „დროებისა“,—გლეხებმა ცოტამ იციან წერა-კითხვა და პირველს წელიწადს საჭირო იყო დახმარებოდნენ იმისთანა აზნაურები, რომელნიც გამორჩეულ იქნებოდნენ საზოგადოებისაგან, რომელთაც იციან წერა-კითხვა, და შესწეოდნენ ბანკის ოპერაციაში და ანგარიშებში. რუსის სასოფლო ბანკმა ისესხა ათასი მანათი ფული თავად-აზნაურობის ბანკიდგან, ეს ფული ამ თვეში უნდა მიიღონ, ზემომოხსენებულის პროტოკოლის ძალით აზნაურებს აქვსთ უფლება გაერიენენ სასოფლო ბანკის საქმეში.

ამას გარდა უმთავრესი მიზეზი ის იყო აზნაურების გამორჩევისა მმართველათ სასოფლო ბანკისა გლეხებთან ერთათ, რომ არასოდეს არსად საზოგადო საქმე არ იქნება საზოგადო საქმეთ, თუ ხალხში არ არის ერთობა და სხვა და სხვა ბანაკათ არიან დაყოფილნი; ამ განყოფილებამ დაღუპა ჩვენი საქართველო და გააღარიბა ხალხი.

რაკი ბატონ-ყმობა ამოწყდა, ყოველივე პატიოსანს კაცს უნდა სურდეს, რომ გლეხებმა და აზნაურებმა და თავადებმა ერთად იმოქმედონ ყოველს კეთილ საქმეში. ბარჩევა უნდა იყოს მხოლოდ სწავლაში და პატიოსნებაში. ბევრნი პატიოსანნი კაცნი არიან კეთილშობილობაში და გლეხობაშიაც და ბევრი უხეირო და უსვინიდისონიცა არიან იმათში. ჩვენს სოფლებში მომეტებული ნაწილი კეთილშობილებისა არ გაირჩევიან გლეხებში,

ისინი ცხოვრობენ თავის ოფლითა და მუშაობითა, როგორათაც გლეხნი და ბევრი ამათგანი უმეტესს სიღარიბეში არიან, ვინემც გლეხნი. დიდი უსამართლობა იქნება, რომ ამისთანა აზნაურებსა არ საიდგან არ ქონდესთ შემწეობა.

ის ავტორი, რომელიც სწერს „დროების“ მე-59 ნომერში, რომ ვითომ აზნაურები იმისთვის გაერიენენ სასოფლო ბანკის მმართებლობაშიო, რომ ჯამაგირები უნდა გაირიგონო, ეს სრულებით მართალი არ არის ამისთვის, რომ, როდესაც რუსის სასოფლო ბანკი გაიხსნა, მაშინვე საზოგადო კრებაში იყო გამოცხადებული, რომ პირველს წელიწადს ჯამაგირი არვის არ მიეცემა, ხოლო მეორე წელიწადს საზოგადო კრება გადასწყვეტს რამდენი უნდა მიეცესთ ბანკის მმართველებს შესაფერ ბანკის შემოსავლისა. შესტავის ძალით, სამს მმართველს და ექვსს რჩევის წევრთ უნდა მიეცესთ შრომისათვის ფული რამდენსაც დაუნიშნავს საზოგადო კრება.

რუსელი

განცხადებანი

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე თფილისის ქალაქის გამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხირჯისა, რომელიც ერთმეორის საზიდვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგონებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალავერდოვის სახლში აასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

დაიკარგა სადა, ფართო ოქროს **ბეჭედი**, რომელზედაც დიდის სლავიანურის ასოებით აწერია რუსულად „Василій Черникъ“. თ უ თ ხ მ ე ტ ი მ ა ნ ე თ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი, ვინც იპოვნის ამ ბეჭედს და წარმოადგენს: ან ქუთაისში, ივანე იოსების ძეს ზედგინიძესთან ან სლობოტკაში, კრიეოლაპოვის სახლში ეისკის ყაზახის პოლკის ხორუნჯის ლეიხთან და ანუ ოზურგეთში—ვასილი ივანეს ძეს ჩერნიკთან.

(3—2)

ისყიდება ქვემო-მოყვანილი **ქართული წიგნები:**

1) ერთი წლის „საქართველოს გოამბე“ ყდაში, 2) ბეოგრაფია საქართველოსი მეფე ვახუშტისა, 3) მიწერ-მოწერა ქართველთ მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთანა, 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული სლავარი, 5) ძველი ალთქმა, ვენეციაში დაბეჭდილი 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული სლავარი, 7) ქალმასობა იოანე ბატონიშვილისა, და პლატონ იოსელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „ცისკარი“ დაარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

ფასის გაგება ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

(5—2)

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუხღალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების“ რედაქციაში.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმაროს.

9, Rue de la Paix, Paris

156—140

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
შვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
შვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქასეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ერი წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 11 ივნისს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 266 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	208	
მოგებიანი (მეორე ესესხი)	201	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზღ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
კავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი, 14 ივნისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	80
—ამერიკისა, ფუთი. .	7	—
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	70
მატყლი თუშური ფთ .	3	—
—თარაქამისა ფთ. .	2	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	5	50
ქონი, ფუთი. . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
—ფხვნილი ფუთი . .	8	20
ულავ გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	72

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.